ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 52

ქალაქი ქუთაისი 25 აპრილი 2018 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ზონების
საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული
არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო
საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2018 წლის 28 თებერვლის N 40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N40 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 09.03.2018, N010250020.35.123.016443), კერძოდ, დადგენილების პრეამბულიდან ამოღებულ იქნეს ფრაზა: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ინდივიდუალურ აუდიტორ, „დავით რობაქიძეს“ შორის 2018 წლის 21 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №40 ხელშეკრულების შესაბამისად წარმოდგენილი 2018 წლის 21 თებერვლის №002/6–1 დ.რ. დასკვნის“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია